№ 146 ივლისი 8, სამშაბათი 1886 ივლისი 8 სამშაბათი, № 146

ივერია

გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 7 ივლისს

ეხლა განვიხილოთ — რა გვარ იცვალა ბ-ნ ყიფიანის აზრი მამულის გაუსყიდებლობაზედ. ეს არის აქილევსის ტერფი ბ-ნ ყიფიანის მოძღვრებისა. რომელმაც არა ერთს წაუხალისა გუნება. „კაცოო, იძახოდნენ ამით წახალისებულნი: ამაზედ მეტი და უკეთესი რა გინდა: მამულის ნახევარ ფასს ეხლავ ხელ-და-ხელ მოგცემენ და თუ არ შეიტანე და არ გადიხადე ვალი, ნუ გეშინიან, — დაგირავებულს მამულს არამც თუ გაგიყიდიან, თვითონვე მოურავადაც დაგიდგებიან, მოუვლიან, უპატრონებენ მამულს, ვალს გადაგიხდიან, შენც კიდევ ცოტა რასმეს მოგაწვდიან ყოველ-წლივ და ბოლოს აშენებულს და გაკეთებულს მამულს ისევ უკან დაგიბრუნებენ ან შენ და, თუ შენ აღარ იქნები, შენს შვილებსაო!...“

რომ სწორედ საბუთი ჰქონდათ ასე ეფიქრნათ, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს იგი იმედები, რაც ბ-ნმა ყიფიანმა დაუქადა თავად-აზნაურობას 1864 წელსა, ესე იგი, როცა მართლა ბედნიერს აზრს ბანკის დაარსებისას პირველ უთაოსნა თავისდა ჭეშმარიტ სასახელოდ. ამ წლის 9-ს ნოემბერს № 288-ით აღნიშნულ ქართულის წერილით „თავად-აზნაურობის წევრთა მიმართ“ ბ-ნი ყიფიანი ასე ინუგეშებოდა:

„რა დაგვიშლის ისეთი კანონები დავადგინოთ, რომ ჩვენს ბანკში შეტანილი მამული კი არ გვეყიდებოდეს, დროებითად შევიდოდეს ხოლმე ბანკის გამგებლობაში, მანამდისინ ვალი გაიწმინდებოდეს, — ასე რომ ვისაც ბანკის ვალი ემართება, ან თვითონ იმას, ან იმის შვილსა, თუ შვილის-შვილსა მამულის დახსნა და გატანა ყოველთვის შეეძლებოდეთ?“

1867 წელსა 6-ს მაისს ბ-ნმა ყიფიანმა მიაღებინა საგუბერნიო კრებას შემდეგი მის მიერ წარდგენილი ამ საგანზედ წინადადება, უფრო გაძლიერებული და უკან დაუხეველი:

„Никогда не подвергать продажѣ, безъ прямаго на то желанія заемщика, заложеннаго имѣнія, предоставляя банку право на полученіе всего дохода съ просроченнаго имѣнія до погашенія долга.“[1])

მერე, როცა საქმე ბანკის წესდების დაწერაზედ მიდგა და ეს უცნაური და უკან დაუხეველად გამოთქმული მუხლი უნდა შეეტანა წესდებაში დაპირებისა მებრ, მაშინ ბ-ნმა ყიფიანმა იგრძნო, რომ დაპირებულის აღსრულება შეუძლებელია; იგრძნო, რომ არას გზით თავს არ დაიჭერს იმისთანა ბანკი, რომელსაც წესად ექმნება დადებული დაგირავებულის მამულების გაუსყიდაობა, ესე იგი, გირაოს არ-გირავნობა; იგრძნო, რომ ამისთანა წესით ბანკი იმ ბანკად გადიქცევა, რომელსაც ძველადგანვე ჰქვიან „ავიღე და აღარ მოგეც“. რა ჰქმნა მაშინ ბ-ნმა ყიფიანმა? აიღო და თავისი მოგონილი უცნაური იგი წინადადება თავად-აზნაურობას გადააბრალა და უთხრა: შენის სურვილის აღსრულება არ შეიძლებაო. აი თვით ბ-ნ ყიფიანის სიტყვები ამ საგანზედ:

„Дворянство на уѣздныхъ съѣздахъ выразило желаніе(?) установить безпродажность залоговъ... Дворянство-же на губернскомъ съѣздѣ выразило сомнѣніе въ возможности осуществленія этого желанія, такъ какъ оно могло повести къ другой крайности—къ уничтоженію капитала,... слѣдовательно трудная жертва могла въ близкой, или далекой будущности потерять свое значеніе“[2]).

ამის გასამართლებლად ზედ უმატებს ბ-ნი ყიფიანი თავის საკუთარს აზრს:

„При очевидной основательности этого опасенія, заявленнаго въ собраніи губернскомъ, и т. д.“[3])

ბოლოს როცა თავის წესდებაში მამულის გაუსყიდაობას გზა აღარ მისცა და დაგირავებული მამული მაინც უნდა გაყიდულიყო, რაკი ბანკში შესატანი ფული ასე თუ ისე არ ადგებოდა, როგორ აუხსნა ეს გარემოება ბ-ნმა ყიფიანმა თავად-აზნაურობას? თუმცა ბან-მა ყიფიანმა ერთობ წესდების აღსახსნელად მეტად გძელი განსამარტებელი წერილი წარუდგინა, თუმცა მთელი ფურცლები მოანდომა ახსნას ზოგიერთის მუხლისას, რომელსაც ამ მამულის გაუსყიდაობაზედ გაცილებით ნაკლები ინტერესი და მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ იმას კი, რომ მამულების გასყიდვა წესად დაუდო ბანკსა და ამ სახით გულითადი თვისი სურვილი შესცვალა, მარტო ეს ორიოდე სიტყვა აკმარა:

„Относительно безпродажности залоговъ я нахожу возможнымъ легко согласить высказанныя на этотъ счетъ весьма дѣльныя мнѣнія тѣмъ истекающимъ изъ ихъ совокупности способомъ, который изложенъ мною въ проэктѣ устава.“[4])

იგი «способ»-ი რომ წინადა ვნახეთ, როცა განვიხილეთ ბ-ნ ყიფიანის პროექტის შეღავათები.

აი ის — „никогда не подвергать продажѣ, безъ прямаго на то желанія заемщика, заложеннаго имѣнія“ — რაზედ ჩამოახტუნა ბ-ნმა ყიფიანმა მაშინ, როცა საქმე საქმეზედ მიდგა და თავი ბოლოს უნდა მოჰბმოდა! ნახტომი, როგორც ჰხედავთ, დიდია და ამიტომ საბუთი გვქონდა გვეთქვა, რომ ბ-ნმა ყიფიანმა ამ მამულების გაუსყიდავობის თაობაზედ ბოლოს და ბოლოს მოუქვევითაო.

ამ სახით ჩვენა ვნახეთ, რომ ბ-ნ ყიფიანის ყოფილს პროექტებში მამულის გაუსყიდაობის თაობაზედ ჩამი-ჩუმიც არ არის. 1884 წელს კი ეს «გაუსყიდებლობა», ესე იგი, რაც ბ-ნ ყიფიანისავე სიტყვით, ამ შვიდმეტს წელიწადს წინად შეუძლებელი იყო, რაც „могло повести къ уничтоженію капитала“ და წარმოადგენდა „очевидную основательность этого опасенія“, შვიდმეტს წელიწადს უკან ხელ-ახლად შესაძლოდ გაუხდა,[5]) აღარც „уничтоженіе капитала“, აღარც „очевидная основательность“! რა სასწაული მოხდა მას აქედ, არ ვიცით და ეხლა რომ ვკითხოთ, ბ-ნი ყიფიანი ამასაც „სკოლურ ცელქობაში“ ჩამოგვართმევს და რად გავიჭიროთ საქმე.

---

[1] Предложеніе г-на Кипіани, заслушаемое губернскимъ собраніемъ дворянство 1867 г. 6-го мая, страница 25-ая. (Дѣло объ учрежденіи банка, часть 2-ая).

[2] Дѣло об учрежденіи банка, часть 2-ая, стр. 158.

[3] იქვე, იგივე 158 გვერდი.

[4] Дѣло объ учрежденіи банка, часть 2-ая стр. 75.

[5] აი რას ბძანებს ბ-ნი ყიფიანი ამ საგანზედ თავის წერილში, რომელიც 1884 წ. გორის მაზრის თავად-აზნაურობას წარუდგინა: „Но учредителямъ (банка) ни что не мѣшаетъ подумать о дѣтяхъ своего неразсчетливаго должника и установить дѣло—хотя и новое, но вполнѣ возможное—безпродажность залога: имѣніе неисправнаго должника взять все въ непосредственную администрацію банка на 1, 2, или 3 года, или до окончательнаго погашенія долга и возмѣствъ весь домъ, возвратить заемщику, или наслѣдникамъ его свободное уже отъ долга.“

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რამდენი სულიც აღმოჩნდა მე 5 პოლიციის ნაწილში კამერალურის აღწერით. ახლა მე-2 პოლიციის ნაწილშიაც შეუსრულებიათ მცხოვრებელთა აღწერა და აღმოჩნდა, რომ ამ ნაწილში მუდმივი მცხოვრებლები 1,336 სულია, 701 მამათა სქესისა და 631 დედათა სქესისა და 1,231 დროებითად მცხოვრები, 697 მამათა სქესისა და 535 დედათა სქესისა. სრული რიცხვი ამ ნაწილში მცხოვრებლებისა 3,150 სულია. ამათში მამათა სქესს ეკუთვნის 1,715 სული და დედათა სქესს 1,435 სული.

⁂ როგორცა სწერენ, ბოტანიურს ბაღში მოსეირნეებს აღარ შეუშვებენ, და განზრახვა აქვსთ, რომ ეს ბაღი გაადიდონ, უცხო ქვეყნის მცენარეები დარგონო. ამ ბაღში რომ სასტუმროა—გაუქმდებაო და ამის შემდეგ მხოლოდ ბილეთებით-ღა შეუშვებენ ხალხს დანიშნულს დროსაო.

⁂ გუშინწინ, კვირას მთელს ქალაქს თითქმის მუშტაიდის ბაღში შეეკრიბა თავი, მოძრაობა არ იყო ბაღში ხალხის სიმრავლისაგან. ვარანცოვის ძეგლთან და მუშტაიდის წინ მთელი ჯგუფა ხალხისა იდგა და ცხენის რკინის-გზის მატარებელს ელოდა. ვაგონზე დაჯდომაზე ერთი ჭყლეტა და

ფელეტონი

სვანების ზოგიერთნი ჩვეულებანი და ცრუ-მორწმუნოებანი.*)

(შეკრებილი თავისუფალ სვანეთში)

გიორგობას ოჯახი არაფერს არ გასცემს სახლიდამ სანათხოვროთაც და არც რაიმე თავის ნივთს დასტოვებს სხვაგან. ამ დღეს ჩვეულება უკრძალავს ხალხს მაღლა ხმით დაძახებას სახლში მყოფ კაცისას გარედამ. ამავე ჩვეულებას მისდევს ხალხი: ა) ხვნის დაწყების დროს, ბ) ახალ-წელიწადს, სგ) მგზავრად წასვლის დროს, დ) კალოობის დაწყების დღეს და სხვ.

გაზაფხულზედ, როდესაც საქონელი პირველად მიჰყავთ საბალახოზე, მწყემსი პატარა რკინეულობას დააგდე'ს მინდორში და იტყვის: „სანამ მე შენ არ მოგძებნო, მანამ ჩემი საქონელიც ნუ მოუძებნია ნადირსა.“ როდესაც ოჯახიდამ ვინმე მიდის მგზავრად, კარში გასვლამდინ მას ფეხებს ქვეშ ანთებულს მუგუზალს დაუგდებენ. მგზავრი მუგუზალს გადააბიჯებს, იქვე წალმა ატრიალდება და პირ-ჯვრის წერით გზას დაილოცავს. ამავე ჩვეულებას ასრულებენ ყოველთვის, როდესაც მონადირე სანადიროდ მიდის, ან ოჯახიდამ რაიმე შესაწირავი, შესალოცავი მიაქვთ ეკკლესიაზე. პირველს ორს შემთხვევაში მგზავრს და მონადირეს მავნე სული არ მიეკარებაო, უკანასკნელს შემთხვევაში კი მოკიდებული მუგუზალი ხალხს განწმედის საშუალებად მიაჩნია. ნოემბერში მუდამ ამონათხარი მიწა მოაქვს ხალხს მინდვრიდამ, ამ მიწას ქირნახულით სავსე კიდობნებს და სხვა ჭურჭლებს ზემოდამ აყრიან ცოტ-ცოტას. ხალხს დავიწყებული აქვს ამისი მნიშვნელობა.

ზოგიერთ სოფლებში ორშაბათს მონაწველ ძროხის რძისაგან გაკეთებულს ყველს მარტო ქალები სჭამენ, კაცებს არ ეჭმევათო, შრობებს აწყენსო, ე. ი. ცოტას მოიწველიანო. ძუძუ მწოვარა ბაშვს, თუ იგი ღამით სადმე წაიყვანეს სახლიდამ, ნახშირს ან ჭვარტლს წაუცხებენ შუბლზე, მავნე სული (მათხაფ) არ მიეკარებაო; ამავე მიზეზით ბაშვს აკვანში უთუოდ რაიმე რკინეულობა უნდა ედვას. ზოგიერთს გორებზე მოგზაური ხის მოტეხილს შტოებს აგროვებს, წალმა ტრიალდება იქვე და კარგს მგზავრობასა სთხოვს ღმერთსა. თედორობას ქალი და კაცი ცოტა თმას მოიკრეჭს, უამისობა არ ვარგაო; აგრეთვე უპარსავ, ცხვარს ან მთლად ჰპარსვენ, ან და ცოტა მატყლს მაინც შეაპარსვენ. კვირა დღეს თმის მოპარსვა არ ვარგა, ღვთის წინაშე ადისო. ორშაბათს დღეს არც თავის დავარცხნა, არც კერვა არ ვარგა,—საქონელს ნადირი შესჭამსო. როცა საქონელი ღამე გარეთ დარჩება, ოჯახი სამ-ფეხა სკამს ბაწრით ჰკრავს, ნადირს პირი შეეკვრებაო. სამშაბათს და ხუთშაბათს მზის ჩასვლის შემდეგ ქალები არა საქმობენ: — საქმობა საქონელს შეამცირებსო ოჯახში.

20 დეკემბრიდამ 7-ს იანვრამდე ქალები კანაფს არ ართვენ — არ ვარგაო. ცხრა მარტამდე მინდვრებში თოვლს (ლიდვსე) არ მოაყრიან მიწას, მარტში ავი დარი იცისო. (ზოგიერთ სოფლებში, თოვლი რომ ჩქარა დადნეს და ხვნა არ დაუგვიანდეთ, თოვლს ზემოდამ მიწას აყრიან, რის გამო თოვლი უფრო ადრე დნება). მთვარეს დიდს მნიშვნელობას აძლევს ხალხის ცრუ მორწმუნეობა. ხალხმა ზეპირად იცის, რამდენი დღის მთვარეა კარგი მოგზაურობისთვის, ჭურჭლის-კიდობნის, ჭურის ასაღებად; მაგალითად, სამგზავროდ უყვართ 3, 6, 7, 10, 16 და 20 მთვარე; ჭურჭლის ასაღებად მთვარე 9-დამ 20-მდე, ე. ი. სავსე მთვარე. მოგზაურობისთვის ხალხი ყველას ორშაბათს დღეს ამჯობინებს, თუ ამ დღეს მთვარე შვიდი დღისაა.

ღორების პატრონად ხალხი რაღაც „ლაპატრას“ სთვლის. მეისარობას ყოველი მოსახლე ღორსა ჰკლავს, მის ენას და ერთს პურს სალორეს კარზე შეალოცვენ «ლაპატრას», რომ ღორები გაამრავლოს. ცხვრების გამრავლებას ხალხი ეხვეწება „სარეკელ დეცეშს“ (დეც ქართულად ცაა). ნადირის მოცემას მონადირე სთხოვს წმ. გიორგის, „დალს,“ «აფსასდს» და «სგიმ—ბერ-მოძღვარს» (ამათზე ვრცლად მოვილაპარაკებ შემდეგ, როდესაც მონადირის ზნე-ჩვეულებას ავსწერ).

როცა სავსე კიდობნის ახდა უნდათ, პირველად გამოაცხობენ ერთს პურს, რომელსაც მცხოვრებელი ქალი გობშივე უჩქმეტს სამივე გვერდზე ცერით და სალოკ თითით ერთად. სამის თითით, რომლითაც პირ-ჯვარს ვიწერთ, შუაში მოჰკიდებს ხელს და თითების სახეს დააჩენს. როცა ეს

---

*) იხილე „ივერია“ № 143.

ხეთქება იყო. მანდილოსნები და ვაჟკაცები ერთი-ერთმანეთში იყვნენ არეულნი და ბევრნი მათგანნი კინაღამ ცხენის რკინის-გზის ვაგონს მოჰყვნენ ქვეშ. ვერ მიაჩერეს კონდუქტორები, რომ ნება არა ჰქონდეთ მეტის ჩასმისა ვაგონებში. მაგალითებრ, იმის მაგივრად, რომ ყოველს ვაგონში, როგორც დაწესებულია, 20—25 კაცი იჯდეს, 60 კაცი იჯდა.

⁂ ბ-ნის გუბერნატორის შუამდგომლობით, ტფილისის პოლიციის 27 ჯარის-კაცს გამოჰსცემიათ სახუქრად 27 ვერცხლის მენდალი რიგიანის სამსახურისთვის ჯილდოდ. ამას გარდა ამავე პოლიციის ჯარის-კაცს ივანიუკოვს, იმ ქურდების დაჭერისათვის, რომელთაც ოქრო-მჭედლის აც ის დუქანი გასტეხეს,—ოქროს მენდალი ეწყალობა. ოქროს მენდალივე მიეცა პოლიციის ჯარის-კაცს დემიდ შეჩუკს რიგიანის სამსახურისთვის.

⁂ 4 ივლისს „УДѢЛЬН. ВѢД.“ სრულიად ჩაიბარა თავისაგან შეძენილი წინანდლის მამული. ამ მამულში ამ ჟამად ცხარე მუშაობაა და სარდაფებსა და სხვა საჭირო სადგომებს აკეთებენ ამ შენობისთვის საჭირო ტყის მასალა ყოველ-დღე მიაქვთ ტფილისიდგან ურმებითა და ფურგუნებით. ევროპიულის წესით ღვინის კეთებას პირველის წლიდგანვე დაიწყობენ. ვიღაც ლომაძს მიენდო პეტერბურგში ამ მამულისათვის საჭირო ღვინის «ბოჩკების» შეძენა და მას მათი გაკეთება უკვე შეუკვეთნია სამზღვარ გარედ.

⁂ ამ დღეებში ქ. შუშის ახლო, ხოჯალინის ფოსტის სადგურთან, ავაზაკებს ორი ფურგონი გაუცარცვავთ სხვა-და-სხვა საქონლით სავსე. ორს საქონლის პატრონთაგანს წინააღმდეგობა გაუწევიათ ავაზაკებისათვის და ამიტომ ავაზაკებს ორნივე მოუკლავთ. („ნორ-დარი“).

⁂ იგივე გაზეთი გვატყობინებს შემდეგს ცნობებს სოფ. გარაგამარლუში მომხდარს კაცის-კვლაზე. «სომეხს მიკირტიჩს ერთის მებატონისაგან ქერი უყიდნია და 100 მანათი ადრევე მიუცია ზეით. როდესაც ნაყიდი ქერი მოუთხოვნია, მებატონეს უთხოვნია პატარა-ხანს მოსვენება. მიკირტიჩის ძილის დროს მებატონე მიჰპარვია თავის ორის ნუქერით და ორჯელ ძალზედ დაუთხლეშნია ცული თავში. შემდეგ კიდევ დაუკრიათ რამდენსამე ალაგას, ჯიბიდამ 500 მანათი ამოუცლიათ, გაუტიტვლებიათ, იარაღი და ტანისამოსი კედელში მიუმალავთ და მოკლულის გვამი კი ორმოში ჩაუფლავთ. გვამი მხოლოდ მეექვსე დღეს იპოვნეს. ეს მკვლელობა ერთს სპარსეთის ქვეშევრდომ მუშას გაუმჟღავნებია პოლიციისათვის, რომელიც შემთხვევით დასწრებია ამ კაცის-კვლას. დამნაშავენი დატუსაღებულნი არიანო».

⁂ 25 ივნისს გამოსულს გაზეთს „კავკასში“ იყო დაბეჭდილი შემდეგი ამბავი:

«ჩვენ მოგვივიდა ამბავი კერძო წერილით, რომ უეცრად გარდაცვლილა ტფილისის საზოგადოებაში ცნობილი ნიჭიერი არტისტი ანდრეევ-ბურლაკი ქ. იალტაშიო.

ეს ამბავი ჩვენ გადმოვბეჭდეთ ჩვენს გაზეთში. ეხლა-კი, გაზ. „ახ. მიმოხ.“ სიტყვით, 29 ივნისს გამოსულს „Юж. Кр.“-ში შემდეგი ცნობა ყოფილა დაბეჭდილი:

მწუხარებით მოსახსენიებელი ხარკოვის თეატრების ანტრეპრენიორი ბ-ნი ანდრეევ-ბურლაკი ამ ჟამად კერჩშია და წარმოდგენებს აძლევსო.

რას უნდა ნიშნავდეს ეს სიზმარი?

⁂ ფოთიდამა გვწერენ: 29-ს ივნისსა და 1 ივლისს ქ ფოთში წარმოდგენა გამართეს ტფილისის არტისტებმა: პირველში თუმცა ცოტა ხალხი დაესწრო, მაგრამ მეორე წარმოდგენაზე ბლომად შეიყარეს თავი. დიდად კმაყოფილი დარჩა აქაური საზოგადოება.

განსაკუთრებით საფაროვისა აბაშიძისამ მიიზიდა ჩვენის ფოთელის საზოგადოების გული მშვენიერის თამაშობით.

საფაროვის-აბაშიძისას მიართვეს მშვენიერი ცოცხალის ყვავილების თაიგული. 3 ივლისს ქართული ტრუპა ბათუმში წავიდა.

⁂ იქიდამვე გვატყობინებენ: აქაური ვაჭრები ხშირად მრუდე სასწორსა და გირვანქიანებს ხმარობენ; მეტადრე ბაყლები და მეფურნეები. ყურის მგდებელი არავინ არისო.

⁂ იქიდამვე გვწერენ: მეტის გვალვის შემდეგ ორიოდე დღე ღმერთმა წვიმები გვაღირსა, და სიცხეებისგან შეწუხებულებმა, ძლივ თავისუფლად ამოვისუნთქეთ. მაგრამ ამ ჟამად ისევ დაგვიბრუნდა და თავში გვაჰკრის გაფიცხებული მზე, კოღო დაგვეხვია და მოსვენებას არ გვაძლევსო.

⁂ სოხუმიდამ გვატყობინებენ, რომ აქ ამ ჟამად კიდევ მძვინვარებს საქონლის ჭირიო, ლამის ამ ერთის წლის განმავალობაში მთელი საქონელი ხელიდამ გამოგვეცალოსო. მეყასბეებს დაუდგათ ამინდი, თითო ხარს ხუთ-რვა მანეთად ყიდულობენო.

⁂ იქიდამვე გვატყობინებენ: ამ დღეებში ეკკლესიის ხეობაში ფილოქსერის გამომკვლელ დასს კიდევ აღმოუჩენია ეს ვენახის ულმობელი მტერი.

⁂ იქიდამვე გვწერენ. უბრალო დღიური მუშა დღეში მანეთი ღირსო. ხან დის-ხან მანეთადაც კაცი არ იშოვნებაო

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ მე-145 ნომერში, მეთაურ წერილში მეორე სვეტზე სწერია: „Въ завѣдыванію“ უნდა იყოს: „Въ завѣдываніи;“ მესამე სვეტზე სწერია: „упорно держаться всею тою“, უნდა იყოს: „упорно держаться всего того.“

დეპეშებში მეხუთე სტრიქონში სწერია: „ცოლმა“, უნდა იყოს „ცალმა“. ბევრიც სხვა შეცდომებია სტამბისა, მაგრამ რადგანაც აზრის გაგებას არ უშლიან, აღარ ჩამოვთვალეთ.

მმართებლობის განკარგულებანი

დაინიშნა. კანცელარიის მოხელე თავადი ლუარსაბ ყარალოვი—თიონეთის სამაზრო გამგეობის მოხელედ; თავადი არჩილ ანდრონიკოვი მისისავე თხოვნის თანახმად სიღნაღის სამაზრო გამგეობის მოხელედ.

უმაღლესად ჯილდო ებოძათ.

წმ. ანნა მესამე ხარისხისა: საეგზარხო საქმეების რიგზედ დაყენებისთვის და რამდენისამე წლის განმავალობაში შეგროვილის საქმეების გარჩევისთვის სინოდალნი კანტორის სტოლის უფროსს კოლლეჟსკი სეკრეტარს კიკნაველიძეს.

მე-43 დრაგუნის ტვერის პოლკის მღვდელს ხარიტონ ინიევს, რადგანაც 100-ი სხვა-რჯულის კაცი მართლ-მადიდებლად მოაქცია.

1 წლის სამსახურისათვის საეგზარხოსოში გორის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელს მიხეილ ნასყიდოვს.

დამაკვირდი!

გამოუსადეგარად ყოფნა არ ყოფნაა.
(დეშულიერი)

—

კაცი, რომელსაც კარგად უცვნია თავისი თავი, სრულებითაც არა ჰკნანობს, რომ საქმის უკვდავად არ არის შობილი.
(ბუასტი)

—

ურცხვობა დღეს იქნება, თუ სვალ უნამუსობად გარდიქცევა
(ინზალდი)

—

ნუ ემსგავსები უმეცართ ბიჭებს,
ნუ მიახემებ ბედს ღვთისა ნიჭებს.
(დავ. გურამიშვილი)

—

არ შეემსჭვალოთ მოკისკასეს
კეკელა ქალსა,
სულის დამტყვევნელს და გრძნობათა
ცუდ-მომღერალსა!
აშიკის ენა მას ახარებს,
მას ასულ-დგმარებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი
ვერ მიიკარებს. (თ. ნიკ. ბარათაშვილი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფელი უჯარმა. ქ. ტფილისში მოვდიოდი და შემთხვევით შევბრუნდი ს. უჯარმაში ცხენის დასასვენებლად და რადგანაც კარგა ხანმა გაიარა, მინამ ცხენს აჭმევდნენ, ამიტომ ერთს იქაურ ხნიერს გლეხს გამოველაპარაკე, გამოვკითხე იმ სოფლის ამბავი,— და აი რა გავიგე.

ს. უჯარმაში ყოფილა სულ 90 კომლი გლეხი კაცი, ქართველები; ამ გლეხების სასახლო ადგილები და ვენახები სახელმწიფო ყოფილა, გარეშემო სახნავი მიწები კი სახოლაჯაანთო. ხოლაჯაანი ამ მიწებში ღალასართმევენ, დღიურ მიწაზედ ოთხს მანათს, ძროხაზედ და ცხენზედ მანეთ ნახევარს და მუშა ხარზედ და კამბეჩზედ ექვს აბაზს.

ხაზინის ფული იკრიფება ამ სოფელში, ყოველს წელს, ას ორმოც თუმნამდე; წვრილმანი ხარჯი და ბეგარა სხვა არის. უჩივიან, ძალიან მუღალნოელ თათრების გაუთავებელს ქურდობას. მუღალნოლ სულ ექვსის ვერსტის სიშორეზეა უჯარმიდამ, და აქაური თათრები არ ასვენებენ საწყალს უჯარმელებს ზამთარ-ზაფხულს. ამასთან შიგვე უჯარმაში ამ მუღალნოელ თათრებს ჰყოლიათ ყონაღები და იმათის შემწეობით უფრო კარგად ახერხებენ თავიანთ საქმეს, უფრო ადვილად სხადიან თავიანთ ბოროტ-მოქმედებასა. აი აქედამ გასინჯეთ მუღალნოელების თავ-გასულობა. წარსულ თთვეზე რომ არა გსთქვათ რა, მარტო აპრილში, უჯარმაში დაკარგულა ექვსი ცხენი, ხუთი ხარი და სამი კამბეჩი; ამათგან სამი ცხენი და ოთხი ხარი ფულით დაუბრუნებიათ; ერთ ხარშა და ერთ კამბეჩში ფული თუმცა მიუციათ მოხრობლებისთვის, მაგრამ არ იციან მოჰგვრიან თუ არა. ესრეც ყოფილა, რომ კამბეჩები მოუპარავთ, მოხრობლებისთვის ფული მიუციათ, ესენი დაჰპირებიან მოყვანას, მაგრამ ფულებიც დაჰკარგვიათ და საქონელიც. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოდა ვთქვით, უჯარმელი ბიჭები არიან თათრების ამხანაგები და თუმცა ყველამ იცის კიდეც ვინც არიან ეს ახალგაზდები, მაგრამ, იქაური მამასახლისის უთაურობით, დღესაც ხმას არავინა სცემს ამათ და მოქმედობენ ისე, როგორც ჰსურთ. განზრახვა აქვს უჯარმის საზოგადოებას, ეს ამბავი მთავარ-მართებელს თავადს დონდუკოვ-კორსაკოვს მოახსენოს, რომ ავები წამალი დასდონ როგორმე ამ საქმეს, თორემ ძალიან შეწუხებულან საწყალი უჯარმელები თათრებისაგან.

მგზავრი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

პორტო-ფრანკოს გაუქმებამ ბათუმში რუსეთის-მიერ მთელის ევროპის გაზეთები აალაპარაკა. რუსეთის გაზეთების აზრი ჩვენ უკვე ვიცით ოფიციალურის გაზეთის „Правительственный Вѣстникъ“-ის შემწეობით. თითქმის ყველა სახელმწიფოში გაზეთებმა თავიანთი აზრი გამოსთქვეს ამ ხსენებულის საქმის გამო.

ვენის კორრესპონდენტი «Berl. Tagbe»-ს დეპეშით აცნობებს, რომ

> ბერლინის ხელ-შეკრულობის მე-59-ე მუხლის გაუქმებას ავსტრიაში აგრე რიგად არ აუღელვებია საზოგადოებაო.

პური გამოცხვება, რომელსაც „ლეშგნის“ (დახემსებას) ეძახის, მთელი ოჯახი ჩამოირიგებს, ცოტ-ცოტას ყველა დაიხემსებს, მოჰკბენს ნაპირებზე და ერთი მეორეს გარდასცემს. დახემსების დროს ფეხ-ქვეშ ყველას დანა და ნახშირი აქვს მოტანილი და ამბობს: „ღმერთო, ბარაქიანი ჰქენი ჩვენი კიდობანიო!“ ამავე დროს აცხობენ მეორე „ლეშგნასაც,“ რომელიც გარეშე კაცს, ვისაც ოჯახი ერთ-გულ და ბედნიერ კაცად იცნობს, უნდა ახემსონ. როდესაც ეს პური გარეშე კაცთან მიაქვთ, კალთას გადააფარებენ, ცამ არ დაინახოსო, არ ვარგაო.

ძნით ჩაშლილს კალოს ნაჯახით ან სხვა რაიმე რკინეულობით სამჯერ შემოუვლიან და თან შემდეგს სიტყვებს ამბობენ: „ღმერთო, კალოს ბარაქა მიეცი, ვისაც ჩემს კალოზე ცუდი თვალი და გული ჰქონდეს, შენ გაახმე, ამოაგდე მისი ძე და მომავალი... ჩემს კალოს შენი ჯვარი დასწერე“. ხალხს სჯერა, რომ არის ჯადო (მახადანა), რომელსაც ისეთი ძალა აქვს, რომ ერთის კალოდამ მეორისაში უჩინრად გადიტანს ხორბალს. მე ვყოფილვარ დამსწრე, რომ სოფელში ხატი ჩამოეტარებინოთ კარ-და-კარ და ყოველი მოსახლე დაეფიცებინოთ, სახლში „მახადანა“ (ჯადო) არ შეინახოთ, რომელიც ვითომც მქონელს გაამდიდრებს და სოფელს კი ამოაგდებსო. კაცს თუ ავი ზნე დაემართა, თოფის სროლით და ხანჯლებით აშინებენ, ჰგონიათ ეშმაკს გამოვდენთო ავად-მყოფისაგან. ავადმყოფის ცხვირ-პირთან აღჩოლებენ აგრეთვე მგლის ბალანს. როცა ავადმყოფი მორჩება, მგლის კბილს და დათვის კლანჭებს გამოჰკრავენ მუშში და ჩამოჰკიდებენ კისერზე. ამას ეძახიან „ქისუმბურა“-ს (კისერ-ბმული?). გაზაფხულზე კვიცს რომ აჯობო, ფეხ ჩაცმული უნდა იყო, თორემ ფეხების ტკივილი იცისო; მწყერსაც ფეხ-ჩაცმული უნდა შეხედე, თორემ იგივე მოგივა, რაც კვიცის დაჯობინებისაგან. თიკანს რომ აჯობო, შეხედვამდი ხმა არ უნდა გაიგონო; თუ გაჯობა თიკანმა, ვაჭარიც გაჯობებს ლაპარაკში, ვაჭრობის დროს. გოჭსაც დაჭყვირებამდი უნდა შეხედო, თორემ ნაჯობნია და მუცლის ღრიალი, ჭუჭყუნი იცისო. თოხი-ტარას პირ-დაბანილი უნდა შეხედე, თორემ თვალების ტკივილი იცისო. პეპელას მაშინ უნდა შეხედო, როცა აღმოსავლეთისკენ მიფრინავს. გუგულს რომ აჯობო დახემსებული, პურ-ნაჭამი უნდა იყო, თუ გაჯობა არასფერს შენს ნაქნარს ბარაქა არ ექნებაო; ამას ძლიერ უფრთხილდება ხალხი: შიმშილი იცისო. გველს რომ დაინახავ გაზაფხულზე, სახლში უნდა მოხვიდე და ცეცხლის დანახვამდინ ნაჭას (საქვაბეს) მოჰკიდო ხელი; გველის ჯობნა გლახა გულზე, ცუდ-გუნებაზე მოიყვანს კაცსაო. ბაყაყს რომ აჯობო, წყალში უნდა შეხედო, არ ჯობნამ ფეხების ტკივილი იცისო.

ახალი მთვარე რომ დაიბადება, გამოჩნდება, საჭიროა კაცზე დაინახო. რა ხასიათის კაცზედაც შეჰხედავ მთვარეს, იმ ხასიათზე დაადგები შენც მთვარის გამოცვლამდე. შემდეგ მთვარის დანახვისა, ვერცხლი და რკინა უნდა ჩაიდო კბილებში,—ვერცხლი მოასწავებს გულის სიწმინდეს, რკინა სიმაგრეს. ახალის მთვარის მნახველმა ცეცხლის დანახვამდე პურის ნამცეცი უნდა შეჭამოს. თუ ჩხართვმა და ჩხიკვმა მარცხნივ დასძახა მგზავრს, ან მონადირეს, ცუდად მიაჩნიათ, მგზავრს რაიმე უბედურობა შაემთხვევა და მონადირე ხელ-ცარიელი დაბრუნდება ნადირობიდამაო. ამასვე უნდა მოელოდეს კაცი, თუ მწყერი შეჰხვდა გზაზე. მგზავრისათვის ბაყაყის წინ შეყრას არაფერი სჯობია. ნაახალწლევს ყველაზედ უწინ თოხი-ტარას მოკვლაა უკეთესი მონადირესათვის.

როცა ფეხთ იცვამ, პირველად მარჯვენა ფეხზე უნდა ჩაიცვა, მარცხენაზე არ ვარგაო უწინ.

ცეცხლი თუ შიშინებს,—ავდარი იქნება; თუ გექავება მარცხენა ყური—ავდარი იქნება. თუ მარჯვენა—დარი. ხახის ცის ქავილმა დარი იცის. თუ მარცხენა წარბი გექავება, მგზავრობა არ ვარგა; თუ მარჯვენა წარბი—ნაფიქრალი აღგისრულდება. მარცხენა ბეჭის ფეთქვა მოასწავებს კაცის სიკვდილის გაგონებასა და ჩხუბს. ზედატუჩის ქავილი სასმელის შოვნას მოასწავებს, ცხვირის წვერის ქავილი—ჯავრს, უსიამოვნობას. მუხლის თავის ძრევამ სატირლად დაჩოქება იცის. ცხვირის ნესტოების ქავილი მხიარულების მომასწავებელია. კატის პირის ბანვამ, თუ ყურიც მოატანა ფეხ-ქვეშ დარი იცის, ქათმები თუ იქექებიან, ავდარი იქნება. ძუძუმწოვარა ბაშვის თავზე ხელების ჩამოსმა კაცს სიკვდილს უქადის. საკლავის ბეჭზე (გარდა ღორის ბეჭისა) გამოიცნობენ: კაცის სიკვდილს ოჯახში, ოჯახის უფროსის სიკვდილს, რომელიმე წევრის მოკვლას სოფელში და საზოგადოებაში, ვაჟი-შვილის ყოლას ოჯახში, ცეცხლის გაჩენას და სხვა რაიმე ფათერაკს.

ბ. სვანი

მაინც და მაინც საშიში აქ არა არის რაო; საქმე იმითი გათავდებაო, რომ 59-ს მუხლსა ევროპის კონფერენციისასა გააუქმებენო“.

გლადსტონის გაზეთები კი ცდილობენ ყურადღება არ მიაქციონ ბათუმის საქმეს. გაზეთი «Pall Mall»-ი ამბობს, რომ

> „59-ს მუხლში ბერლინის ხელ-შეკრულობისა ნათქვამიაო, რომ რუსეთმა ნება-ყოფლობით მიიღო პორტო-ფრანკოვო, ამიტომ მის გაუქმებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. ბათუმში პორტო-ფრანკომ ხალხი შეაწუხაო; მარტო კონტრაბანდის გარვცელებამ გააჭირვა საქმეო და ეს სრულიად ამართლებს რუსეთსა, რომ ამისთანა საშუალება იხმარაო.—და ამბობს გაზეთი „Nat.Zeit.“, სხვა სახელმწიფოებს სრულიადაც არა აქვსთ მიზეზი აყალ-მაყალისა თუნდ სალისბურსაც დარჩეს მთავარ მინისტრობაო, ბათუმის საქმეს ვერ გამოეკიდებაო, რადგანაც იმას უფრო საჭირო საქმეები ექმნება გასაკეთებელი და საზრუნველიო.

⁂

პარიჟელი კორრესპონდენტი „Московскія Вѣдомости“-სა სწერს, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შორის დიპლომატებური ურთიერთობა თითქმის შესწყდაო. ეს მოვლენა უფრო იმიტომ არის სამწუხაროვო, რომ არას დროს არ ყოფილა ისრე საჭირო ამ ორთა სახელმწიფოთა მჭიდროდ შაერთება, როგორც აწინდელს დროშიო.

საქმე იმაშია ამბობს გაზეთი „Новости“, რომ

> „ბოლგარიამ საკმაოდ დიდი ბაჟი დაადო საფრანგეთის სავაჭრო საქონელს. რასაკვირველია, ამ საქმეს ფრეისინე უყურადღებოდ არ დასტოვებს და პასუხს მოსთხოვს ბოლგარიასაო; მაგრამ ცხადია, ბოლგარიის მთავრობა ფრეისინეს თხოვნას ყურსაც არ ათხოვებს, იმიტომ რომ, იგი დაეჩვია და მედამ კადნიერად აუქმებს ყველა ხალხთა-შორებრივს მოვალეობათა. რაც უნდა იყოს, დარწმუნებულნი ვართ, რომ საფრანგეთი უყურადღებოდ არ დასტოვებს ბატტენბერგის კადნიერს საქციელსაო.
>
> «საფრანგეთს და რუსეთს ეს საქმე აერთებსო და ამიტომაც არის სამწუხარო, რომ დიპლომატებური ურთიერთობა ამათ შორის თითქმის შემწყდარიაო».

უცხოეთი

ინგლისი. გაზეთ „Indépendence Belge-ს სწერენ ლონდონიდამ: ეგვიპტიდამ ძალიან ცუდი ამბები ისმისო. აჯანყებული სუდანელები ზემო ეგვიპტეში მოდიან, სადაც ინგლისის ჯარების უმთავრესი ძალაა მოგროვილი. დიდის სიცხეების გამო საშინელი ავად-მყოფობაა გავრცელებული ინგლისის ჯარში. ასსუანში ინგლისის ჯარის-კაცნი ბუზებივით იხოცებიანო.

—ინგლისის ეხლანდელ არჩევანებში დიდს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ არჩევანებში მონაწილეობას იღებენ ლიბერალურის დასის ქალები, რომელნიც აქამდისინ შორს უდგებოდნენ პოლიტიკასა, თუმცა კონსერვატორების დასის ქალები დიდი ხანია ამ სარბიელზე მხნედ იღწვიან. როგორც ამას წინადაც გვქონდა ნათქვამი, გლადსტონის მეუღლემ ლონდონის კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა; კონსერვატორებმა შეუბრალებლად გაჰკიცხეს ამის გულისთვის ეს პატივცემული მანდილოსანი და ამასთან ის კი დაივიწყეს, რომ შარშან ჩერჩილის მეუღლე გატაცებული ლაპარაკობდა, რომ ბარონი ეორმსი უთუოდ ამოირჩიეთო. ჩერჩილის მეუღლე ერთად ერთი ქალი არ არის, რომელიც არჩევანებში ცხარედ მონაწილეობდა. შარშან დილკის მეუღლე, ქალი პატიოსანი, გულ-მოდგინედ ცდილობდა და არა საშუალებას არა ჰზოგავდა, ოღონდ იმის ქმარს არჩევანებში გაემარჯვენა. იმას ნუღარ ვიტყვით, რომ ჰერცოგ დევონშირის მეუღლე ყველა ამომრჩეველს, რომელიც კენჭს იმის ქმარს მისცემდა, სათითაოდ ჰკოცნიდა; დილკის მეუღლე ამომრჩევლებს თუმცა არა ჰკოცნიდა, მაგრამ ამის მაგიერ ხელს ისე მაგრად ართმევდა, რომ ბოლოს ხელი იტკინა და რამდენსამე ხანს ხელ-ჩამოკრული დადიოდა. მაინც ქალის ამ გვარმა თავ-განწირულებამაც ვერა გააწყო-რა და დილკი მაშინ გააშავეს.

ოსმალეთი. დიდი მეგობრული და მოყვრული განწყობილება ჩამოვარდნილა სულთანისა და ბოლგარიის მთავრის შორის. გაზეთ „Daily News“-ის სიტყვით, ოსმალეთს ამ ხანებში ორი ნოტა გაუგზავნია სოფიაში. ერთში სულთანი თურმე აცხადებს: ძალიანა ვწუხვარო, რომ ბოლგარიის მთავარმა რამდენიმე მკვახე მაგარი და უადგილო სიტყვა იხმარა თავის სიტყვაში, როცა ბოლგარიის საერო კრებას მიჰმართაო. მეორე ნოტაში სულთანი ურჩევს მთავარ-ალექსანდრეს: რაც შეიძლება ფრთხილად მოიქეცი, ბოლგარ-ოსმალთა ხელთ-შეკრულობას ნუ გადახვალო, რომ რუსეთს საბუთი არ მიეცეს, ბოლგარიის საქმეებში ჩამოერიოსო.

სულთანს კარგად ეყურება მთავარ-ალექსანდრეს გაჭირვებული მდგომარეობა და ამიტომ ცდილობს, რაც შეიძლება რბილად მოექცესო. ჰადბან-ეფენდის შთაგონებული აქვს, რომ ბოლგარიის მთავრობასთან რაც შეიძლება კარგი განწყობილება იქონიოსო.

ოსმალეთის მთავრობა ჯარებს თოფ-იარაღს არა ჰყრის იმ განზრახვით, რომ ვაი თუ ბოლგარიის საქმის გამო კიდევ არეულობა მოხდესო.

ამერიკა. ამერიკულ მუშებს დიდი კრება გაუმართავთ ნიუ-იორკში —ამ კრებაზედ მუშებს გადაუწყვეტიათ, რომ ირლანდიის მხარე უნდა დაიჭიროთო კრებაზე სხვათა შორის პარნელის დედაც დასწრებია. კრებაზე ბევრი სიტყვა წარმოთქმულა. ერთს ორატორს სხვათა შორის უთქვამს: არჩევანები როგორც უნდა გათავდეს, ირლანდია მაინც გაიმარჯვებს, და თვით-მმართველობას მიიღებსო. მანამ პარნელს „საზოგადოთა პალატაში“ 80 მომხრე ჰყავს, იმას ყოველთვის შეუძლიან ინგლისის მთავრობას ხელი შეუშალოს ყველა საქმეში; ბოლოს ინგლისელები თავის ნებითვე მისცემენ, რასაც ირლანდია თხოულობსო.

საფრანგეთი. ომალის და შარტრის ჰერცოგებს საჩივარი შეუტანიათ სახელმწიფო რჩევაში, რომ უკანონოდ ვართ გამორიცხულნი ჯარების სიებიდამაო. გარდა ამისა ომალის ჰერცოგს პრეზიდენტ გრევისთვის წერილი გაუგზავნია აი ამ წერილში რასა სწერს ჰერცოგი: „თქვენ შეარყიეთ მხედრობის ძირეული კანონი, როდესაც ჯარების სიებიდამ გამომრიცხეთ. ჩემი საქმე—მთელის აფიცრების საქმეა, ამიტომ ამ საქმის გამოსარჩლება იმათთვის მიმინდვია. ხოლო მოგაგონებთ კი, რომ მე, როგორც უხუცესი გენერალი, ისევ გენერლად დავრჩები, რადგანაც სამხედრო ხარისხი ისე მაღლა დგას, რომ მთავრობას ნება არა აქვს ამ ხარისხის ახსნაო.“

ანგარიში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ საქმეთ-წარმოებისა

(დასასრული*)

VII

შემოწირულობანი საზოგადოების სასარგებლოდ.

საანგარიშო წელიწადი, როგორც შარშანდელი, შესანიშნავია შემოწირულობით საზოგადოების სასარგებლოდ. მათმა ბრწყინვალებამ თ. გრიგოლ დავითის ძემ გურიელმა შემოსწირა 1009 წიგნი „ქილილა და დამანა“, დაბეჭდილი თვისის საფასით. თვითეული წიგნი ღირს 3 მან., მაშასადამე, ფულად რომ ვიანგარიშოთ, თ. გრიგოლს შემოუწირავს საზოგადოებისთვის 3027 მ. ამ გვარი თანაგრძნობა მით უფრო საყურადღებოა, რომ თ. გრ. დავ. გურიელმა ისურვა ამ წიგნის გასყიდვიდამ შემოსულის ფულით იბეჭდებოდეს ჩვენი ძველი მწერლობის ნაწარმოებნი. რაც შეეხება თვით ხელთ-ნაწერების ამორჩევას, ეს საქმეც არ დასტოვა უყურადღებოდ. ამორჩევა წიგნების დასაბეჭდათ მათ მიანდეს ჩვენს ყველასაგან ცნობილის დ. ზ. ბაქრაძეს, რომელთაც თვით საზოგადოების გამგეობის წევრთა თანხმობით საბოლოოდ გადასწყვეტს, თუ რომელი ხელთ-ნაწერი, ანუ წიგნი უნდა დაიბეჭდოს. ამავე თავადმა გრ. დავ. გურიელმა შემოსწირა საზოგადოებას ძვირფასი სახარება, X საუკუნის ხელ-ნაწერი ეტრატზედ. გამგეობა ჰრაცხს თავის ვალდებულებად მოახსენოს საზოგადო კრებას, რომ თ. გრ. დავ. გურიელი აღმორჩეულ იქმნას საპატიო წევრად საზოგადოებისა იმ თანაგრძნობისთვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს საზოგადოებას თავის ფას დაუდებელ შემოწირულობით.

ამას გარდა სხვა პირთაც შემოსწირეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ძველ წიგნთა საცავის შესავსებლად სხვა-და-სხვა ძველი და ახალი წიგნები: ა) თ. ი. გრ. ჭავჭავაძემ 10 წიგნი, ხელთ-ნაწერი 7: ქართლის ცხოვრება, ვახტანგ VI, ორი ლექსიკონი საბა-სულხან ორბელიანისა, ამბავი რუსუდანისა, „ქილილა და დამანა“, რიტორიკა—მასითარისა, ფიზიკა, ბაუმეისტრისა, დაბეჭდილი 3: ახალი აღთქმა, წიგნი თანამდებობისათვის სამრევლოთა მღვდელთა, ქვეყნიური სამოთხე, მ. საბინინისა და გაზეთი „ივერია“ 1886 წლისა; ბ) ქვრივმა თამარ სერგეის ასულმა სარაჯიშვილისამ—ორი ხელთ-ნაწერი: კარაბადინი და ქართველთ ცხოვრება, თ. ნ. დადიანისა; გ) თ. მიხეილ თუმანიშვილის ასულმა ანასტასიამ შემოსწირა საზოგადოების სასარგებლოდ თავის თარგმანი რუსულით „რობინზონ კრუზე“; დ) ალექსანდრე სოლომონის-ძემ როინაშვილმა: მუსულმანთ სარწმუნოების წიგნი ფარსადან სოლომონის-ძე გორგიჯანიძისა, ნაშოვნი დაღისტანში, ერთი ვერცხლის სურა ძველის ხელოვნებისა და 28 სურათი ძველის ნივთებისა, რომელთაც აქვთ ძვირ-ფასი არქეოლოგიური მნიშვნელობა. ეს ნივთები შემოსწირა ბ. ალექ. სოლომონის-ძემ იმ მდიდარ მუზეუმისთვის, რომელიც მან აღუთქვა ჩვენს საზოგადოებას და რომლის ფას დაუდებელ ნივთების შეკრებას თითქმის მთელი სიცოცხლე შესწირა, რათა თავის სამშობლოს ამ მხრით სახელოვანი სამსახური გაუწიოს.

ამას გარდა გამგეობამ შეიძინა ძვირფასი მასალა ჩვენის ძველის ისტორიისათვის, სახელდობრ „ქართლის ცხოვრება“, გადაწერილი როსტომ მეფის (1634—1658) მეუღლის მარიამის სურვილით. ეს ხელთ-ნაწერი ჰქონია ხელში იმ კომისიას ვახტანგ VI დროს, რომელსაც შეუკრებნია ეხლანდელი ჩვენი „ქართლის ცხოვრება“.

ამ ორს ფრიად შესანიშნავ საისტორიო მასალას გარდა, გამგეობამ შეიძინა კიდევ 357 წიგნი შესახებ ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურისა.

ამას გარდა ჩვენმა საზოგადოებამ მიიღო საანგარიშო წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა კუთხიდამ საქართველოისა შემოწირულობანი ფულად დამხმარებელ წევრთა თაოსნობით, სახელდობრ: ა) სურამში გამართულის წარმოდგენიდამ 265 მ. 53 კ., ბ) ლეჩხუმის დ. ლაილაშში გამართულის სალიტერატურო საღამოდამ 23 მ. და ახლად შედგენილ ნამდვილ წევრთაგან 60 მ., სულ 83 მ., გ) ფოთში გამართულის წარმოდგენიდამ 70 მ., დ) ახალციხეში ახლად შედგენილ წევრთაგან 30 მ., ე) ბათუმში გამართულის ცირკის თამაშობიდამ 132 მ. 22 კ. და ჭიდაობიდამ 12 მ. 92 კ., სულ 145 მ. 14 კ.

გამგეობა საზოგადოებისა ვალად ჰრაცხს განუცხადოს უწრფელესი მადლობა როგორც ზემოხსენებულ-პირთ, ეგრეთვე იმ დამხმარებელ წევრთ და გარეშე პირთ, რომელთაც თვისის შრომით და რჩევით მისცეს საზოგადოებას საშუალება თვისის მოქმედების გასავრცელებლად და ასაღორძინებლად. ეს პირნი არიან: თ. ქაიხოსრო გელოვანი, ოლღა ნიკოლოზის ასული ალექსეევ-მესხიევისა, დეკ. გრიგოლ მაჭაროვი, თ. ხერხეულიძე და ბ. მოსტისა.

წაკითხულის ანგარიშიდამ საზოგადოება ნათლად ჰხედავს, რომ გამგეობას ვერ მოუყვანია სისრულეში ყველა ის მოვალეობანი, რომელნიც მას მინიჭებული აქვს მთავრობისაგან დამტკიცებულის წესდებით. ამ გარემოებას, მართალია, რთული მიზეზი აქვს, მაგრამ, ჩვენდა სანუგეშოდ, მაინც ვხედავთ ნიშნებს, რომ ჩვენში ცოტ ცოტად იღვიძებს საზოგადო სიკეთისადმი მიმზიდველობა, რომელიც მომავალში, თუ ხელი შევუწყეთ, უფრო გაძლიერდება. შეიძლება თვით გამგეობა ისეთის მოხერხებით და სიმარჯვით ვერ მოქმედებდეს ამასთანა მძიმე მოვალეობის ასასრულებლად, როგორც სასურველი და სამჯობინარია თვით საზოგადოებისათვის, მაგრამ ამისთანა მდგომარეობის დროს საჭიროა დახმარება თვით საზოგადოებისა როგორც რჩევით, ეგრეთვე მოქმედებით. მხოლოდ ამ გვარის ურთიერთობრივის ხელის მიწვდენით და დახმარებით შევიძლებთ იმ საზოგადოების გაცხოველებას, რომლის გაძლიერების მოსურნე არის თვითეული წევრი—საზოგადოებისა საერთოდ და გამგეობის საკუთრივ.

დეპეშა

5 ივლისს

ლონდონი. ამბობენ, რომ აწინდელი სამინისტრო სამსახურს თავს ანებებსო და ახალის სამინისტროს მოთავედ იქნება სალისბერიო. დისიდენტები ლიბერალურის ბანაკისა სამინისტროში მონაწილეობას არ მიიღებენო, მაგრამ ახალის სამინისტროს თანხმად იმოქმედებენო.

პარიჟი. დღეს მედონის ტყეში დუელში გავიდნენ სამხედრო მინისტრი და სენატორი ლარენტი: პირველად ლარენტიმ ესროლა, მაგრამ დააცდინა; მაშინ ბულანჟემ ჰაერში გაისროლა და მოვიდა სამინისტროში, სადაც იმას აუარებელი ხალხი ელოდდა.

6 ივლისს

პეტერბურგი. გუშინ პეტერგოფის დიდ სასახლის ეკკლესიაში დაიფიცა დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხაილის ძემ. ფიცის დროს დაესწრნენ მათნი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და მთელი საიმპერატორო გვარეულობა. გუშინვე დიდს მთავარს ალექსანდრე მიხაილის ძეს ებოძა ფლიგელ-ადიუტანტობა.

7 ივლისს

პეტერბურგი. დეპარტამენტი საბაჟო გარდასახადისა ცირკულიარით აუწყებს საბაჟოებს, რომ განსაზღვრული პრემია მიეცემა მხოლოდ იმ შაქარზე, რომელსაც 1-ს ივლისამდე გაიტანებენ საზღვარ გარედაო.

„Вѣстникъ Финансовъ“ ამბობს, რომ სამართლიანი იქნება დაედოს ბაჟი ცეცხლში-გამძლე აგურს სახურავს კრამიტს, ცეცხლში გამძლე თიხის ფილაქნებს და დრენაჟის და წყლის 3 კ., ხოლო უბრალო აგურს კი 1 კ. ოქროსი ფუთზე

ბელგრადი. მინამ სკუპშინას საბოლოოდ გარდაწყვეტდეს გამორიცხულ იქმნენ 25 დეპუტატი, რომელთაც კანონიერს არჩევანში ეჭვი შეიტანეს. სკუპშინის პრეზიდენტად და ვიცე პრეზიდენტად 87 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 40-სა აღმორჩეულ იქმნენ მართებლობის დასის-კაცნი.

ლონდონი. სამი ოლქის გარდა არჩევნები ყველგან გათავდა. ახალს პარლამენტში, ჰგონებთ, იქმნებიანო 317 კონსერვატორი და 76 დისიდენტი ლიბერალების ბანაკისა.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

8 დღე სამშაბათი. წმ. დიდ. მოწ. პროკოფისა; ფრანგ. ელისავეტისა და ევ.

---

*) იხ. „ივერია“ 124, 125, 126, 127, 128, 135, 136 და 142.

კირიაკესი; სომეხ. წმ. ზაქარია წინასწარ-მეტყველისა. მუსულ. 18 დღე შევალის თვისა, 1303 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 12 6—4. ტფილისში მზე ამოდის 4 42, ჩადის 7—30; მთვარე ამოდის 9—57, ჩადის 8—12. მთვარე 19-ტის დღისაა.

9 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. პანკრატისა და კირილესი. ფრანგთა. ანატოლიისა და კირილლე ეპისკ. სომეხთა მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—8. ტფილისში მზე ამოდის 4—43, ჩადის 7—20. მთვარე ამოდის 10—25, ჩადის 9—19.

10 დღე ხუთშაბათი. 45 მოწ. ნიკოპოლისა. ფრანგ. ფელიციტისა და ამალიისა; VII ძმ. მოწ. სომეხ. წმ. ელისე წინ.-მეტყვ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—10. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—28; მთვარე ამოდისდის 55, ჩადის 10—17.

11 დღე პარასკევი. წმ. ქალწ.-მოწ. ევფემიასი; ფრანგ; წმ. მოწ. პელაგიასი და იოანნასი. სომეხ. მარხვა. მუსულ. მე-42 ჯუმია. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—12; ტფილისში მზე ამოდის 4—45, ჩადის 7—27. მთვარე ამოდის 11—25, ჩადის 11—14.

12 დღე შაბათი. წმ. მოწ. იოანესი, ევთიმესი და გაბრიელისა; ფრანგ. იოანნე, გვალბერტტასა, ფელიქსისა და გილიარისა. სომეხ. 12 მოციქულ. და წმ. პავლე მოციქულ.

ტფილისში გაიხსნა საფოსტო განყოფილება 1849 წ. აფხაზეთში დამკვიდრდა რუსის მთავრობა 1864 წ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—14; ტფილისში მზე ამოდის 4—46, ჩადის 7—26; მთვარე ამოდის 11—59, ჩადის 12—13.

13 დღე კვირა. კრება გაბრ. მთავარანგელოზისა; —ფრანგ. მოწ. მალგორჟატისა და ანაკლეტასი. სომეხ. ალების-ლამე გარდავარის (ფერის-ცვალების) მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15; ტფილისში მზე ამოდის 4—47, ჩადის 7—25; მთვარე ამოდის 12 საათ. ჩადის 1—12.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტოდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კ.პ.
წითელი პური 1-ის გარასხისა	2½	›
› › 2 ›	2	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½	›
› › 2—	3	›
› › 3 ›	2½	›
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა	4½	›
მე-2 ხარისხისა	3½	›
მე-3 —	3	›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	›
‹ › 2	6	›
სუკი	14	›
ცხვრის ხორცი	7	›

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მოდის საათ.	მოდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	35	ბათუმი	—	—	8	35
ავჭალა	8	52	8	55	ქობულეთი	9	25	9	28
მცხეთა	9	13	9	21	ნატანები	9	54	9	57
ქსანი	9	39	9	41	სუფსა	10	21	10	27
კასპი	10	6	10	9	ლანჩხუთი	11	—	11	3
გრაკალი	10	29	10	31	ნიგოითი	11	14	11	16
გორი	10	54	11	4	საჯავახო	11	39	11	41
ქარელი	11	33	11	36	**ხამტრედია**	11	56	12	15
გომი	12	—	12	4	კოპიტნარი	12	35	12	37
ხაშური	12	21	12	41	რიონი	1	7	1	20
სურამი	12	53	12	56	აჯამეთი	1	32	1	34
ფონი	1	24	1	27	**ყვირილა**	2	11	2	26
ბეჟათუბანი	2	14	2	34	ძირულა	3	4	3	6
მარელისი	3	3	3	5	ბელაგორი	3	33	3	36
ბელაგორი	3	32	3	35	მარელისი	4	3	4	5
ძირულა	4	2	4	5	**ბეჟათუბანი**	4	34	4	54
ყვირილა	4	43	4	58	ფონი	5	41	5	44
აჯამეთი	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	12	6	15
რიონი	5	49	6	4	**ხაშური**	6	27	6	42
კოპიტნარი	6	34	6	36	გომი	6	59	7	3
ხამტრედია	6	56	7	16	ქარელი	7	27	7	30
საჯავახო	7	31	7	33	**გორი**	7	59	8	9
ნიგოითი	7	56	7	59	გრაკალი	8	32	8	34
ლანჩხუთი	8	10	8	14	კასპი	8	54	8	57
სუფსა	8	47	8	55	ქსანი	9	22	9	24
ნატანები	9	19	9	22	მცხეთა	9	42	9	48
ქობულეთი	9	48	9	51	ავჭალა	10	6	10	8
ბათუმი	10	41	—	—	**ტფილისი**	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	15	სურამი	—	—	2	35
ავჭალა	3	38	3	41	**ხაშური**	2	47	3	2
მცხეთა	4	6	4	16	გომი	3	26	3	31
ქსანი	4	42	4	45	ქარელი	4	5	4	12
კასპი	5	20	5	25	**გორი**	4	53	5	8
გრაკალი	5	53	5	56	გრაკალი	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი	6	28	6	43	კასპი	6	13	6	19
ქარელი	7	24	7	29	ქსანი	6	54	6	57
გომი	8	3	8	7	მცხეთა	7	23	7	33
ხაშური	8	31	8	46	ავჭალა	7	58	8	1
სურამი	8	58	—	—	**ტფილისი**	8	21		

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზიამ

არწრუნისეულს გალერეაში მიიღო ჩაი, რევოლვერები და კრავატები. ისყიდება ძალიან იაფად. (10—5)

ყრმათა საკითხავი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიურის დამატებით მშობელთა და აღმზრდელთათვის.

1884-სა და 1885 წლის ყველა წიგნები, 17 № (10 წიგნი) ერთად ღირს—ქალაქში 3 მანათი, ქალაქს გარეთ გაგზავნით 3 მან. და ათი შაური. ათი შაური შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს. ადრესი: Тифлисъ. А. С. Гуладзе, Сололаки Фрейлинская, 7.

მომავალს ხენკის **ხათაგად-აზნაურთ სასწავლებლისათვის** გვექირება ისეთი მასწავლებელი, რომელსაც უნდა შეეძლოს ქართულ-რუსულად გალობის რიგიანად სწავლება; ექმნება გალობის რვა გაკვეთილი და თან აღმზრდელობის მოვალეობა. ორივე თანამდებობის ჯილდოდ 600 მანათი არის დაწესებული. მსურველთ თხოვნით მიჰმართონ ან ქუთაისის სააზნაურო სასწავლებლის კომიტეტს, ან მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერელს—სენაკში.

სასწავლებლის ინსპექტორი

(3—3) სამსონ ყიფიანი

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად. (10—5)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა

ილია ჭყონიას რედაქციით.

ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

◆

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დასტული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და ‹ქართლის ცხოვრების› ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთახეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი ‹ვახუშტის ისტორიისა›. ‹მეორე ნაწილს› საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს. (20—8)

Дозволено цензурою Тифлисъ 6 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.